5-24

34(05)
5-24

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1929 წლის იანვრის 16.

№ 1

განყოფილება პირველი

ა/კსფსრ სახალ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის მიერ გამოცემული.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

მუხ. 1. ინდუსტრიალიზაციის მე-2 სახელმწიფო სესხის რეალიზაციით მიღებული თანხებიდან ადგილობრივ საჭიროებათათვის გადასადები 10%-ანი ანარიცხის განაწილებისა და გამოყენების წესის შესახებ.

„ 2. 500-დან 3.000-დე კ. ვ. ძალოვნების ელექტროსადგურებისა, ელექტროგადაცემისა და მათი დამხმარე ნაგებობის პროექტების განხილვისა და დამტკიცების დროებითი წესების დამტკიცების შესახებ.

„ 3. სსრკ-ის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მიერ დასამტკიცებელი ელექტროსადგურებისა და ელექტროგადაცემის პროექტების ა/კსფსრ-ში განხილვის წესის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

„ 4. ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის 1928 წ. მარტის 2-ს თარიღისა და მე-20 №-ის დადგენილების 1-ლი მუხლისა და ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული ამიერკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭოს 1926 წ. იანვრის 5-ს დადგენილების მე-3 მუხლის გაუქმების შესახებ.

„ 5. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სახელმწიფო დაწესებულებასა და საწარმოში სამსახურის თაობაზე“ 1923 წ. სექტემბრის 27-ს თარიღით გამოცემული დადგენილების დამატების შესახებ.

„ 6. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სამუშაო ხელფასის განსაკუთრებული ფონდების გამოყენების წესისა და სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა და სახელმწიფო კაპიტალის უპირატესი მონაწილეობით მომქმედ შერეულ სააქციო საზოგადოებათა მომუშავეთათვის პერსონალური ჯამაგირის დანიშვნისა და სპეციალური დავალების შესრულებისათვის განსაკუთრებული გასამრჯელოს მიცემის თაობაზე“ 1928 წ. აპრილის 7-ს თარიღითა და 26 №-ით გამოცემული დადგენილების გაუქმების შესახებ.

„ 7. დებულება სსრკ-ის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან (ა/კსფსრ-ში) არსებული ცენტრალური რადიო-საბჭოს შესახებ.

„ 8. სსრკ-ს ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან (ა/კსფსრ-ში) არსებული ცენტრალური რადიო-საბჭოს შედგენილობის დამტკიცების შესახებ.

დადგენილება № 85 ა/კსფრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

1. ინდუსტრიალიზაციის მე-2 სახელმწიფო სესხის რეალიზაციით მიღებული თანხებიდან ადგილობრივ საჭიროებათათვის გადასადები 10%-ანი ანარიცხის განაწილებისა და გამოყენების წესის შესახებ.

სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სსრკ-ის სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის მე-2 სახელმწიფო სესხის გამოშვების შესახებ“ 1928 წლის ივლისის 18-ს თარიღით გამოცემული (სსრკ კან. კრ. 1928 წ. 46 №-რი, მუხ. 406) დადგენილებისა და შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1928 წ. სექტემბრის 28-ს თარიღის დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1928 წ. 62 №-რი, მუხ. 575) თანახმად—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ზემოაღნიშნული სესხის რეალიზაციით მიღებული თანხებიდან ადგილობრივ სახსარში გადასარიცხი თანხების ხარჯვას აწარმოებენ ადგილობრივი საბჭოები მარტოოდენ შემდეგ საჭიროებათათვის:

ა) კომუნალური მშენებლობისათვის, სოფლისათვის წყლის მიწოდების ჩათვლით;

ბ) ადგილობრივ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში კაპიტალური სახსარის მოთავსებისათვის;

გ) სოფლის სასკოლო და სამკურნალო მშენებლობისათვის;

დ) საგზაო მშენებლობაში კაპიტალური სახსარის მოთავსებისათვის.

2. აღნიშნული ანარიცხის თანხები მოთავსებულ უნდა იქნეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში და გატარებული იმავე ბიუჯეტის საგასავლო ნაწილში, შრომისა და თავდაცვის საბჭოს ზემოაღნიშნული დადგენილების მე-3 მუხ. გათვალისწინებული წესისამებრ.

3. ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის რეალიზაციის ანარიცხი ადგილობრივი საბჭოს ბიუჯეტში შევა უწყებული ტერიტორიალური ერთეულის ფარგლებში ნარეალიზევი სესხის თანხის რაოდენობის მიხედვით. სათემო, საგავარაკო, საუბნო და სადაირო აღმასრულებელი კომიტეტების ბიუჯეტში შესატანი ანარიცხი დაიჭირება უშუალოდ სესხის რეალიზაციით ფაქტიურად მიღებული თანხიდან; ხოლო ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში ნარეალიზევი სესხის თანხიდან 10%-ს გადარიცხავენ სსრკ-ის ფინანსთა სახალხო კომისარიატის საკასსო დაწესებულებანი სესხის შემოსავლის სახელმწიფო შემოსავალში ჩარიცხვის დროს.

4. ტრანსპორტზე და წითელი არმიის ნაწილებსა და დაწესებულებებში ნარეალიზევი თანხის 10%-ან ანარიცხს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებს შორის გაანაწილებს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო პროფორციულად იმ თანხისა, რაც ნარეალიზევია უწყებული რესპუბლიკის

ტერიტორიაზე ხელისმოწერით მეტრანსპორტეთა და სამხედრო მსახურთა შორის.

5. მეტრანსპორტეთა და სამხედრო მსახურთა შორის ხელისმოწერით ნარეალიზევი ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის თანხების ანარიცხს მე-3 მუხლში აღნიშნულ სათანადო ადმინისტრატიულ-ტერიტორიალურ ერთეულთა შორის გაანაწილებს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო უმაღლესი ადმინისტრატიულ-ტერიტორიალური ერთეულების მეშვეობით.

6. ინდუსტრიალიზაციის მეორე სახელმწიფო შინაგანი სესხის ნარეალიზევი თანხების ანარიცხის ხარჯვას ამა თუ იმ ცალკე ღონისძიებისათვის აწარმოებენ—კუთვნილებისამებრ—საქალაქო საბჭოები, სათემო, საგავარაკო და სადაირო აღმასრულებელი კომიტეტები ამა დადგენილების 1-ლი მუხლის თანახმად.

7. უშუალო მეთვალყურეობა ზემოაღნიშნული ანარიცხების სათანადოდ გამოყენებისათვის დაეკისრება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებს.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნაზარეთიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. ბახტაძე.**

1928 წ. დეკემბრის 22. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს მე-3 №-ში 1929 წ. იანვრის 5-ს.

დადგენილება № 93 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

2. 500-დან 3.000-დე კ. ვ. ძალოვნების ელექტროსადგურებისა, ელექტროგადაცემისა და მათთვის საჭირო დამხმარე ნაგებობის პროექტების განხილვისა და დამტკიცების დროებითი წესების დამტკიცების შესახებ-

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი დროებითი წესები 500-დან 3.000-დე კ. ვ. ძალოვნების ელექტროსადგურებისა, ელექტროგადაცემისა და მათთვის საჭირო დამხმარე ნაგებობის პროექტების განხილვისა და დამტკიცების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მაგიერ **ნაზარეთიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. ბახტაძე.**

1928 წ დეკემბრის 22. ტფილისი-სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროებითი წესები 500-დან 3.000-დე კ. ვ. ძალოვნების ელექტროსადგურებისა, ელექტროგადაცემისა და მათთვის საჭირო დამხმარე ნაგებობის პროექტების განხილვისა და დამტკიცების შესახებ.

§ 1. ამა წესების მოქმედება ვრცელდება ა/კსფსრ-ის ფარგლებში როგორც ახლად ასაგები, ისე გასაფართოებელი 500-დან 3.000-დე კ. ვ. ძალოვნების ელექტროსადგურებისა, ელექტროგადაცემისა და მათთვის საჭირო დამხმარე ნაგებობის პროექტებზე, ქვემოაღნიშნული გამონაკლისით.

იმ სადგურის პროექტი, რომელიც საერთო-საკავშირო მნიშვნელობის საწარმოს ან ნაგებობის ნაწილია, და იმ სადგურის პროექტი, რომელსაც აგებს გზათა სახალხო კომისარიატის ორგანო სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წლის მარტის 16-ს დადგენილების თანახმად (სსრკ კან. კრ 1927 წ. მე-16 №-რი, მუხ. 180), ამ სადგურების ძალოვნების მიუხედავად, განიხილება და დამტკიცდება 3.000 კ. ვ. ძალოვნებაზე უდიდესი სადგურისა და ელექტროგადაცემისათვის დადგენილი წესით.

§ 2. საბოლოო პროექტის შედგენამდე, წინასწარ შედგენილ უნდა იქნეს საესკიზო პროექტი საორიენტო ხარჯთაღრიცხვით.

§ 3. საბოლოო პროექტის შედგენის დაწყება შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, რაც საესკიზო პროექტი სათანადოდ დამტკიცებული იქნება ამა წესების მე-5 მუხლში განსაზღვრული წესით.

საესკიზო და საბოლოო პროექტის შედგენილობა დაწვრილებით აღნიშნულია ამა წესების განსაკუთრებულ დანართში.

ამის გარდა, პროექტის შედგენილობაში მოთავსებულ უნდა იქნეს დოკუმენტები, რითაც დამტკიცდება, რომ პროექტი შეთანხმებულია:

ა) იმ სადგურისა და ნაგებობისათვის, რომელიც შენდება სასაზღვრო ზოლში,—სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოებთან;

ბ) ყველა ჰიდროელექტრო სადგურისათვის—ა/კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოსთან—წყლის გამოყენებისა და გადაგდების თაობაზე, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. მაისის 3-ს თარიღისა და 42 №-ის დადგენილების თანახმად (ა/კსფსრ 1928 წ. მე-12 №-რი, მუხ. 128);

გ) იმ ჰიდროსადგურისათვის, რომელიც სატივტივო და სანაოსნო მდინარეზე შენდება,—გზათა სახალხო კომისარიატის სათანადო ორგანოსთან.

§ 4. საესკიზო პროექტები განიხილება და დამტკიცდება შემდეგი წესით:

ა) ის დაწესებულება, რომელიც აპირებს განახორციელოს მშენებლობა, შეიტანს პროექტს 4 ცალად ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს საელექტროფიკაციო განყოფილებაში, სადაც მოხდება პროექტის განხილვა ელექტროზედამხედველობის განხორციელების დებულების წესისამებრ;

ბ) სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს საელექტროფიკაციო განყოფილება პროექტის 3 ცალს, თავისი დასკვნითურთ, გადასცემს რესპუბლიკანურ საამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტს, სადაც პროექტი განიხილება იმ მხრით, თუ რამდენად შეესაბამება პროექტი დასახლებული ადგილების გაფართოების გეგ-

მას, რამდენად დაცულია სავალდებულო დადგენილებანი მშენებლობის შესახებ, რამდენად უზრუნველყოფილია სახანძარო საშიშროებისაგან, და აგრეთვე უშიშროების ტეხნიკისა და შრომის ჰიგიენის მხრით.

შენიშვნა. განხილვისათვის მიწვეულ უნდა იქნეს შრომის სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი, გადამწყვეტი ხმის უფლებით უშიშროების ტეხნიკისა და შრომის ჰიგიენის საკითხებში.

გ) რესპუბლიკანური საამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტი პროექტის 2 ცალს, თავისი დასკვნითურთ, გადასცემს ამიერკავკასიის სატეხნიკო-საამშენებლო კომიტეტს, სადაც პროექტი განიხილება ტეხნიკური და ეკონომიური მიზანშეწონილობის თვალსაზრისით. ასეთი განხილვის დროს ამიერკავკასიის სატეხნიკო-საამშენებლო კომიტეტი მიიღებს ა/კ. სახელმწიფო საგეგმო კომისიის დასკვნას იმის შესახებ, თუ რამდენად შეესაბამება პროექტი ელექტროფიკაციის გეგმას და რამდენად სწორეა ვარაუდი მოსალოდნელი დატვირთვისა;

დ) ამიერკავკასიის სატეხნიკო-საამშენებლო კომიტეტი წარუდგენს თავის დასკვნას ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს და შემდეგ პროექტის ერთ ცალს, ყველა დასკვნისა და ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს დადგენილების ასლებითურთ, მისცემს პროექტის წარმდგენ დაწესებულებას გადასამუშავებლად ან საბოლოო პროექტის შესამუშავებლად.

§ 5. საბოლოო პროექტი განიხილება ამა წესების მე-4 §-ის „ა“ „ბ“ და „გ“ პუნქტებში აღნიშნული წესისამებრ; ამასთანავე, ასეთ პროექტს დაამტკიცებს ამიერკავკასიის სატეხნიკო-საამშენებლო კომიტეტი.

§ 6. რათა ელექტრომშენებლობის განმახორციელებელ დაწესებულებას შეეძლოს პროექტის შემუშავების ვადების გეგმიანად განაწილება, დაწესებულ იქნეს შემდეგი უკიდურესი ვადები მე-4 და 5 §§-ში ჩამოთვლილ ცალკე ინსტანციებში პროექტების განხილვისათვის:

4) რესპუბლიკანურ სახალხო მეურნეობის საელექტროფიკაციო განყოფილებაში . . . . . 2 კვირა.

ბ) რესპუბლიკანურ საამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტში . . . . 2 „

გ) ამიერკავკასის სატეხნიკო-საამშენებლო კომიტეტში . . . . 1 თვე.

შენიშვნა. ეს ვადები ითვლება განსახილველად საჭირო ყველა მასალის წარდგენის დღიდან.

ის მასალა, რაც პრონქტს აკლია, მოთხოვნილ უნდა იქნეს არა უგვიანეს ერთი კვირისა პროექტის მიღების დღიდან.

§ 7. სამშენებლო მუშაობის წარმოება შეიძლება მხოლოდ საბოლოო პროექტის დამტკიცების შემდეგ.

ცალკე შემთხვევაში, ხოლო ყოველთვის ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს განსაკუთრებული ნებართვით, მომზადებელი მუშაობა შეიძლება სწარმოებდეს საბოლოო პროექტის დამტკიცებამდეც, ისიც—მარტოოდენ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მიერ ნებადართული მოცულობით.

§ 8. დანადგამის აგებისათვის წარმოებულ მუშაობას ზედამხედველობას უწევენ სამუშაოს მწარმოებლები და აგრეთვე ა/კსფსრ შედგენლობაში შემავალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათანადო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ელექტროზედამხედველობისა და შრომის ინსპექციის ორგანოები.

სატეხნიკო-საინსპექტორო კონტროლს განახორციელებენ, საერთო წესისამებრ, მშენებლობის ტეხნიკურად მომწესრიგებელი ორგანოები.

§ 9. აგებული დანადგამის ექსპლოატაცია შეიძლება დაწყებულ იქნეს მხოლოდ მშენებლობის ტეხნიკურად მოწესრიგებისა, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ელექტროზედამხედველობისა და შრომის ინსპექციის ორგანოების მიერ აგებული დანადგამის შემოწმების აქტის თანახმად.

დროებითი წესების დანართი

პროექტების შედგენილობა

ა/კსფსრ-ში 500-დან 3.000-დე კ. ვ. ძალოვნების ელექტროსადგურებისა, ელექტროგადაცემისა და მათთვის საჭირო დამხმარე ნაგებობის აშენებისათვის.

1. ამა დანართით განისაზღვრება:

ა) საბოლოო და საესკიზო პროექტის ნორმალური შედგენილობა ა/კსფსრ-ში 500-დან 3.000 დე კ. ვ. ძალოვნების ელექტროსადგურებისა, ელექტროგადაცემისა და მათთვის საჭირო დამხმარე ნაგებობის აშენებისათვის;

ბ) პროექტების შედგენილობა განსაკუთრებულ შემთხვევაში და

გ) დირექტივები—რამდენი ხელმონაწერი უნდა იყოს საპროექტო მასალებზე.

I. საბოლოო პროექტი.

2. საბოლოო პროექტი შესდგება განმარტებითი წერილისა, ნახაზებისა და ხარჯთაღრიცხვისაგან.

3. განმარტებით წერილში მოთავსებულ უნდა იქნეს:

ა) იმის დასაბუთება, რომ უწყებული მშენებლობის განხორციელება თანადროულია. უწყებულ რაიონში ელექტრომიწოდების საქმის აწინდელი მდგომარეობისა და ელექტროენერგიის მოთხოვნილების დახასიათება. ელექტროენერგიის მოხმარების ზრდა და განზრახული სადგურის 5—10 უახლოესი წლის განმავლობაში განვითარების გეგმა; ამასთანავე, ცნობები ახალ საწარმოთა შესახებ დადასტურებულ უნდა იქნეს სათანადო ოფიციალური ნარკვევით.

ბ) განზრახული დანადგამისა და ჰიდროსადგურისათვის ენერგიის წყაროს არჩევის დასაბუთება—წყლის ენერგიის წყაროს სრული ჰიდრომეტრული და ჰიდროლოგიური დახასიათება.

გ) სადგურისათვის ადგილის არჩევის დასაბუთება.

დ) თბოსადგურებისათვის: სათბობი მასალის არჩევა,—ამ სათბობი მასალის ფასებისა და მომავალში ბაზრის მდგომარეობის პერსპექტივების აღნიშვნით. ამ სათბობი მასალის სრული თბიერების გამოანგარიშება.

ე) ჰიდროელექტრო-სადგურისათვის—იმის გამორკვევა: რა საჭიროებას წარმოადგენს წყალდენი ან წყალსატევი წყალთა მეურნეობის სხვადასხვა დარგისათვის (ნაოსნობა, ტივტივსვლობა, რწყვა, თევზთსასვლელი); რა მდგომარეო-

ბას გამოხატავს შეთანხმებულ-შეჯამებული მოხმარების გრაფიკები; რა შესაძლებლობაა წყალსათავსის მოსაწყობად და რა როლი აქვს ამ წყალსათავსს; რა შესაძლებლობაა დღედაღამის განმავლობაში წყლის რეგულირობისათვის.

ვ) ჰიდროელექტრო-სადგურისათვის: ნაგებობის ადგილის რაიონის საერთო გეოლოგიური აგებულობის გამორკვევა არსებული გეოლოგიური რუქებისა და სხვა ლიტერატურული წყაროების მიხედვით. სალიტერატურო მასალის შესავსებად წარმოებული დამატებითი გეოლოგიური გამოკვლევების მასალის დამუშავება. გეოლოგიური ჭრილების შედგენა განსაკუთრებით პასუხსაგებ ნაგებობათა ადგილებში წარმოებული საბურღო და სახვრეტო მუშაობის საფუძველზე. ნაგებობათა ადგილის დაწვრილებითი აღწერა, ნიადაგის დახასიათებით.

ზ) ნაგებობის აღწერა, იმის დასაბუთებით, რატომ იქნა არჩეული სწორედ ეს ტიპი ნაგებობისა, აგრეთვე აღწერა: ქვაბების ტიპისა და ძალოვნებისა, ძრავებისა, გენერატორებისა, ტრანსფორმატორებისა, აგრეთვე სადგურისა და ქვესადგურის ორთქლისა, მექანიურისა, ჰიდრავლიურისა და ელექტრონის გაწყობილობის სხვა ნაწილებისა. მთელი ნაგებობის ძირითადი გამოანგარიშება და ნაგებობის კონსტრუცქიის სიმკვიდრის გამოანგარიშება.

თ) ელექტროგადაცემის ხაზის გეზი, ქვესადგურების რიცხვი, ელექტროგადაცემის დაძაბულობისა და სადენის კვეთილის გამოანგარიშება, ხაზის მექანიური გამოანგარიშება. ცნობები საბჯენთა და ხაზის დამცავთა კონსტრუქციის შესახებ.

ი) კ. ვ.-საათის თვითღირებულების გამორკვევა და მოსაზრებანი ჰიდროელექტრო სადგურისათვის გასაყიდი ენერგიის შესაძლებელი ტარიფიკაციის შესახებ; ამის გარდა, სათბიერო რეზერვის როლის გამორკვევა და, საჭირო შემთხვევაში, წმინდა ჰიდრავლიური ვარიანტის თბო-ვარიანტთან და შერეულ-ვარიანტთან შედარება სამშენებლო და საექსპლოატაციო ხარჯთაღრიცხვების მიხედვით. მოსაზრებანი მომხმარებელთა მომზადების შესახებ.

კ) მუშაობის წარმოების მეთოდის აღწერა და სამუშაოთა შესრულების საკალენდრო გეგმა.

ლ) საფინანსო გეგმა.

4. ნახაზებში შეტანილ უნდა იქნეს:

ა) იმ რაიონის საერთო რუქა, რომელსაც აქვს ეკონომიური მიზიდულობა დანადგამისადმი, ამ რუქაზე მოხმარების ძირითადი ცენტრების აღნიშვნით.

ბ) ყველა განზრახული ნაგებობის გენერალური გეგმა.

გ) წყალდენისა ან წყალსატევის აუზის გეგმა.

დ) იმ ადგილის გეგმა, რომელიც უშუალოდ ეკვრის ნაგებობას განზრახული საგუბარის ფარგლებში.

ე) შემცირებული სიგრძივი პროფილი საბჯენის მრუდის ფარგლებში.

ვ) სატაც ნაგებობათა გეგმა (საგუბარი, სათავის რეგულიატორი, სადერივაციო არხი ან მილთსადენი—დასაწდომი აუზებით, ჩასარეცხი რაბით და სხვ.).

ზ) საგუბრის ჭრილი მისი სიგრძივი ღერძის მიხედვით—გეოლოგიური კვეთალის აღნიშვნით.

თ) საგუბრის განივჭრილი უფრო დამახასიათებელ ადგილებში.

ი) სადერივაციო არხისა, გვირაბისა და მილთსადენის სიგრძივჭრილი—გეოლოგიური ჭრილის აღნიშვნით. არხისა და გვირაბის ტიპიური განივჭრილი. სატემპერატურო ნაკერებისა და პირაპირის ტიპიური ნახაზები.

კ) წყალსაგდების ჭრილი.

ლ) ავანკამერისა და წყალსაწნევი კამერის გეგმა, ჭრილები და დეტალები.

მ) ნაოსნობისა, ტივტივსვლობის და თევზთასვლის უზრუნველმყოფი ღონისძიებანი.

ნ) შემთანასწორებელი აუზებისა და კოშკების გეგმა და ჭრილი.

ო) სადგურის შენობის გეგმა და ჭრილები: სამანქანო შენობისა, საქვაბესი, სატუმბოსი, განმანაწილებელი მოწყობილობისა,—გაწყობილობის საგნების აღნიშვნით: ქვაბებისა, შემთბობებისა, მილთსადენებისა, ძრავებისა, გენერატორებისა, ტრანსფორმატორებისა, აპარატებისა და სხვ.

პ) ქვესადგურების გეგმა და ჭრილები,—ელექტროგაწყობილობის აღნიშვნით.

ჟ) ელექტროშეერთების ცალხაზოვანი სქემა სადგურისა და ქვესადგურებისათვის, დასადგმელად განზრახული აგრეგატებისა, გამზომი ტრანსფორმატორებისა, ჭარბად დატვირთვისაგან მოკლე შერთვის დენისა და ჭარბად დაძაბულობისაგან დამცავ მოწყობილობის აღნიშვნით, და აგრეთვე მიწასთან შეერთების სქემა (არა ნაკლებ $^1/_{100}$ მასშტაბით).

რ) დღედაღამის დატვირთვის გრაფიკი (ზამთრისა და ზაფხულისა). თვიური ნამოქმედარის გრაფიკი (წლის განმავლ.). მაქსიმუმისა და ნამოქმედარის ზრდის გრაფიკი წლიურად, არანაკლებ, ვიდრე 5 წლის პერიოდისათვის.

ს) მუდმივი მუშებით დასახლებული ადგილი: საერთო გენერალური გეგმა (დასახლებული ადგილის ტიპიური შენობების გეგმები, ჭრილები და ფასადები).

5. ყველა ნაგებობის აშენებისა და გაწყობილობის საწარმოო ხარჯთაღრიცხვა—სამომსახურეო შენობებისა, მისავალი გზებისა და მუდმივი მუშებით და სახლებული ადგილის ჩათვლით.

ხარჯთაღრიცხვას უნდა დაერთვას:

ა) შეფასების ნუსხა;

ბ) მუშა-ძალისა და მასალის საცნობო ფასები;

გ) სამუშაოს რაოდენობის გამოანგარიშება;

დ) საჭირო მთავარი საშენი მასალის გამოანგარიშება;

ე) საჭირო მუშა-ძალის გამოანგარიშება.

6. საექსპლოატაციო ხარჯთაღრიცხვა. წლიური საექსპლოატაციო ხარჯები და ღირებულება კ. ვ.-საათისა სადგურის სალტებზე და მომხმარებლისას.

შენიშვნა. კ. ვ.-საათის თვითღირებულების ხარჯთაღრიცხვა და კალკულაცია შედგენილ უნდა იქნეს მთავარი საელექტრო კომიტეტის საერთო დადგენილებებისა და სპეციალური ინსტრუქციების თანახმად.

II. საესკიზო პროექტი.

7. საესკიზო პროექტი უნდა შესდგებოდეს განმარტებითი წერილისა, ნახაზებისა და სახარჯთაღრიცხვო მოსაზრებებისაგან.

8. საესკიზო პროექტის განმარტებითი წერილი—საერთო აღწერილობისა და ეკონომიური ნაწილის მხრით—არ განირჩევა საბოლოო ტეხნიკური პროექტისაგან.

ტეხნიკური აღწერილობის ნაწილი შეიძლება უფრო ნაკლებ დაწვრილებით იყოს დამუშავებული, ვიდრე საბოლოო პროექტში, ხოლო იგი უნდა იძლეოდეს სრულ წარმოდგენას პროექტის ყველა ნაწილის შესახებ და შესაძლებელ ჰყოფდეს განზრახულ ნაგებობათა და პროექტის ტეხნიკური მიზანშეწონილობის თაობაზე აზრის შედგენას.

9. საესკიზო პროექთან წარდგენილ უნდა იქნეს საერთო სქემატიური ნახაზები, რაც ნათელჰყოფს ნაგებობათა ყველა შემადგენელ ნაწილსა და ამ ნაწილების მდებარეობას, ძირითად და ტიპიურ ნაგებობათა და კონსტრუქციათა ტეხნიკურ ხასიათს, და აგრეთვე პროექტით ნავარაუდევ სამუშაოთა რაოდენობას.

10. საესკიზო პროექტში შემავალი საორიენტო ხარჯთაღრიცხვა (სახარჯთაღრიცხვო მოსაზრებანი) შედგენილ უნდა იქნეს განვრცობილი საზომავებით და მას უნდა დაერთოს:

ა) განმარტება საჭირო მთავარი საშენი მასალების შესახებ;

ბ) განმარტება საჭირო მუშა-ძალის შესახებ;

გ) განმარტება საშენი მასალისა და მუშა-ძალის ადგილობრივი ფასების შესახებ;

დ) ხარჯთაღრიცხვით მიღებული ზედნადები ხარჯების %%-ს ნუსხა და—საჭირო შემთხვევაში—დასაბუთებაც;

ე) ნარკვევი ცნობებით და მასალებით დასაბუთებული ღირებულება განვრცობილი საზომავებისა (შენობის ან ნაგებობის ერთეულის ღირებულება, მთავარ სამუშაოთა ერთეულის ღირებულება და სხვ.).

III. პროექტის შედგენილობა განსაკუთრებულ შემთხვევაში.

11. უკუთუ განზრახულია ამა დანართის 1-ლ მუხლში ჩამოთვლილ ნაგებობათა გაფართოება, გადაკეთება ან კაპიტალური რემონტი, პროექტის შედგენილობა განისაზღვრება ზემოაღნიშნულ პირობებთან შეფარდებით, ხოლო პროექტი უნდა შეცავდეს ყველა იმ ცნობას, რაც საჭიროა აზრის შესადგენად პროექტის ეკონომიური და ტეხნიკური მიზანშეწონილობისა და სამუშაოთა წარმოების მეთოდის შესახებ (განსაკუთრებით საჭიროა დაწვრილებით აღწერა, უკეთუ სამშენებლო მუშაობა გამოიწვევს ელექტროსადგურის მოქმედების შეწყვეტას).

12. პროექტის ცალკე შემადგენელ ნაწილებს აუცილებლად ხელი უნდა მოაწეროს პროექტის წარმდგენელი დაწესებულების სათავეში მდგომმა პირმა და პროექტის სათანადო ნაწილის ავტორმა.

ამის გარდა, ყველა გამოანგარიშებასა და ხარჯთაღრიცხვას ხელი უნდა მოაწეროს იმ პირმა, რომელმაც მოახდინა ამ მასალების სრული შემოწმება.

ხელმოწერასთან ერთად აღინიშნება აგრეთვე თარიღი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 86 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

3. სსრკ-ის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მიერ დასამტკიცებელი ელექტროსადგურებისა და ელექტროგადაცემის პროექტების ა/კსფსრ-ში განხილვის წესის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს შემდეგი ინსტრუქცია „სსრკ-ის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მიერ დასამტკიცებელი ელექტროსადგურებისა და ელექტროგადაცემის პროექტების ა/კსფსრ-ში განხილვის წესის შესახებ“

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მაგიერ **ნაზარეთიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. ბახტაძე.**

ტფილისი-სასახლე. 1928 წ. დეკემბრის 22.

ი ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა

სსრკ-ის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მიერ დასამტკიცებელი ელექტროსადგურებისა და ელექტროგადაცემის პროექტების ა/კსფსრ-ში განხილვის წესის შესახებ.

§ 1. ა/კსფსრ-ში იმ ელექტროსადგურებისა და ელექტროგადაცემის პროექტები, რომელთა აშენების ნებართვას, სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. ივნისის 30 დადგენილების თანახმად (სსრკ კან. კრ. 1925 წ. 45 №-რი, მუხ. 335), იძლევა სსრკ-ის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, წარდგენილ უნდა იქნეს სსრკ-ის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ორგანოებში დასამტკიცებლად მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც პროექტი წინასწარ განხილულ იქნება, მე-3 §-ში აღნიშნული წესისამებრ, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ორგანოებისა და ა/კსფსრ ორგანოების მიერ.

§ 2. 1-ლ §-ში აღნიშნული პროექტების შედგენილობა განისაზღვრება სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. იანვრის 23 ს დადგენილებით (სსრკ კან. კრ. 1928 წ. მე-9 №-რი, მუხ. 79) და სსრკ-ის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს 1925 წ. სექტემბრის 21-ს თარიღისა და 1249 №-ის ბრძანებით (სსრკ სმუს მიერ მრეწველობისათვის გამოცემულ დადგენ. და ბრძანებ. კრ. 1925 წლ. 24 №-რი). ამის გარდა, საჭიროა:

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა
ტფილისი
ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) ყველა სადგურისათვის, რომ პროექტის ცალკე შემადგენელ ნაწილს ხელს აწერდეს პროექტის წარმდგენელი დაწესებულების სათავეში მდგომი პირი და პროექტის სათანადო ნაწილის ავტორი; ამის გარდა, ყველა გამოანგარიშებას და ხარჯთაღრიცხვას ხელს უნდა აწერდეს ის პირი, რომელმაც მოახდინა აღნიშნული მასალების სრული შემოწმება;

ბ) იმ სადგურისა და ნაგებობისათვის, რომელიც სასაზღვრო ზოლში შენდება,—შეთანხმება სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოებთან;

გ) ყველა ჰიდრო-ელექტრო-სადგურისათვის—შეთანხმება ა/კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოსთან—წყლის გამოყვანისა, გადაგდებისა და გაყვანის შესახებ, თანახმად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. მაისის 3-ს თარიღისა და 42 №-ის დადგენილებისა (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. მე-12 №-რი, მუხ. 128);

დ) იმ ჰიდროსადგურისათვის, რომელიც სატვიტვსვლო და სანაოსნო მდინარეზე შენდება,—შეთანხმება გზათა სახალხო კომისარიატის სათანადო ორგანოსთან.

§ 3. 1-ლ §-ში აღნიშნული პროექტების ა/კსფსრ-ში განხილვა სწარმოებს შემდეგი წესით:

ა) შენობის განმახორციელებელი დაწესებულება გაჰგზავნის პროექტს 4 ცალად ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს საელექტროფიკაცაო განყოფილებაში;

ბ) საელექტროფიკაციო განყოფილება განიხილავს პროექტს ელექტროზედამხედველობის მხრით და პროექტის სამს ცალს, თავისი დასკვნითურთ, წარგზავნის იმვე რესპუბლიკის ეკონომიურ თათბირთან არსებულ საამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტში;

გ) რესპუბლიკანური საამშენებლო სატეხნიკო კომიტეტი განიხილავს პროექტს იმ მხრით, თუ რამდენად შეესაბამება პროექტი დასახლებული ადგილების გაფართოების გეგმას, რამდენად დაცულია სავალდებულო დადგენილებანი მშენებლობის შესახებ, და აგრეთვე უშიშროების ტეხნიკისა და შრომის ჰიგიენის მხრით.

შენიშვნა. განხილვისათვის მიწვეულ უნდა იქნეს შრომის სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი გადამწყვეტი ხმის უფლებით უშიშროების ტეხნიკისა და შრომის ჰიგიენის საკითხებში.

დ) განხილვის დამთავრების შემდეგ რესპუბლიკანური საამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტი პროექტის ორ ცალს, თავისი დასკვნითურთ, წარგზავნის ამიერკავკასიის სატეხნიკო-საამშენებლო კომიტეტში;

ე) ამიერკავკასიის სატეხნიკო-საამშენებლო კომიტეტი განიხილავს პროექტს ტეხნიკური და ეკონომიური მიზანშეწონილების თვალსაზრისით, თანაც ამ განხილვის დროს მიიღებს ამიერკავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიის დასკვნას იმის შესახებ, თუ რამდენად შეესაბამება პროექტი ელექტროფიკაციის გეგმას და რამდენად სწორია ვარაუდი მოსალოდნელი დატვირთვისა;

ვ) ამიერკავკასიის სატეხნიკო-საამშენებლო კომიტეტი წარუდგენს თავის დასკვნას ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს და შემდეგ პროექტის ერთ ცალს, ყველა დასკვნისა და ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს დადგენილების

ასლებითურთ, მისცემს პროექტის წარმდგენ დაწესებულებას დასამტკიცებლად წარმართვისა ან პროექტში საჭირო ცვლილების შეტანისათვის.

შენიშვნა. მე-2 §-ში აღნიშნული წესი სავალდებულოა როგორც საესკოზო, ისე საბოლოო პროექტისათვის.

§ 4. მე-3 §-ში ჩამოთვლილ ცალკე ინსტანციებში პროექტის განხილვისათვის დაწესებულია შემდეგი უკიდურესი ვადები:

ა) რესპუბლიკანური სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს საელექტროფიკაციო განყოფილებაში—2 კვირა.

ბ) რესპუბლიკანურ საამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტში—2 კვირა.

გ) ამიერკავკასიის სატეხნიკო-საამშენებლო კომიტეტში—1 თვე.

შენიშვნა 1. ეს ვადები ითვლება განხილვისათვის საჭირო ყველა მასალის წარდგენის დღიდან. ის მასალა, რაც პროექტს აკლია, მოთხოვნილ უნდა იქნეს არა უგვიანეს ერთი კვირისა პროექტის მიღების დღიდან.

შენიშვნა 2. ზემოაღნიშნულ ვადებზე დასკვნების წარუდგენლობა ჩაითვლება ისე, რომ პროექტის საწინააღმდეგო არა არის-რა.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს მე-6 №-ში 1929 წ. იანვრის 9-ს.

დადგენილება № 1 ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა.

1929 წ. იანვრის 4.

1. ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის 1928 წ. მარტის 2-ს თარიღისა და მე-20 №-ის დადგენილების 1-ლი მუხლისა და ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული ამიერკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭოს 1926 წ. იანვრის 5-ს დადგენილების მე-3 მუხლის გაუქმების შესახებ.

სსრკ-ის შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს მიერ 1928 წ. ივლისის 4-ს თარიღით და 397 №-ით დამტკიცებული „ინვალიდობისა და მარჩენალის დაკარგვის გამო სოციალური დაზღვევის წესით უზრუნველყოფის წესების" („სსრკ შრ. სახ. კ-ტის იზვ." 1928 წ. 28-29 №-ბი) ა/კსფსრ ტერიტორიაზე სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით—ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს: ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. მუხლი 1-ლი ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის 1928 წ. მარტის 2-ს თარიღისა და მე-20 №-ის დადგენილებისა „დამზღვევი ორგანოების გადაწყვეტილებათა განსაჩივრების წესის შესახებ" („შრომის კანონმდებლობის ვესტნიკ" ის 1928 წ. მე-5 №-რი).

2. მუხლი მე-3 ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული ამიერკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭოს 1926 წ. იანვრის 5-ს დადგენილებისა „იმ შრომის ინვალიდების პენსიაზე ჩარიცხვის დროის შესახებ, რომელთა ინ-

ვალიდობაც დადგა დროებით შრომის უნარდაკარგულობის პროცესში“ (ა/კ. შრ. სახ. კ-ტის შრომის კანონმდებ. ვესტნ.“-ის 1926 წ. 1-ლი №-რი).

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

ა/კსფსრ. სახ. კ-ტის სოც. დაზღვევის მთავ.
სამმართველოს უფროსი **ბანოვიჩი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს მე-6 №-ში 1929 წ. იანვრის 9-ს.

დადგენილება № 88 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

5. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ,,სახელმწიფო დაწესებულებასა და საწარმოში სამსახურის თაობაზე'' 1923 წ. სექტემბრის 27-ს თარიღით გამოცემული დადგენილების დამატების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. სექტემბრის 27 თარიღის დადგენილებას „სახელმწიფო დაწესებულებასა და საწარმოში სამსახურის შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1923 წ. მე-11 №-რი, მუხ. 204) დაემატოს მე-9 მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„9. ამა დადგენილების მოქმედება ვრცელდება აგრეთვე კოოპერატიულ ორგანიზაციებზე და სახელმწიფო ან კოოპერატიული კაპიტალის უპირატესი მონაწილეობით მომქმედ სააქციო და შერეულ საზოგადოებებზე“.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მაგიერ **ნაზარეთიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. ბახტაძე.**

1928 წ. დეკემბრის 22. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს მე-9 №-ში 1929 წ. იანვრის 12-ს.

დადგენილება № 87 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

6. ა-კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ,,სამუშაო ხელფასის განსაკუთრებული ფონდების გამოყენების წესისა და სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა და სახელმწიფო კაპიტალის უპირატესი მონაწილეობით მომქმედ შერეულ სააქციო საზოგადოებათა მომუშავეთათვის პერსონალური ჯამაგირის დანიშვნისა და სპეციალური დავალების შესრულებისათვის განსაკუთრებული გასამრჯელოს მიცემის თაობაზე'' 1928 წ. აპრილის 7-ს თარიღითა და 26 №-ით გამოცემული დადგენილების გაუქმების შესახებ.

„სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა, კოოპერატიულ ორგანიზაციათა, შერეულ სააქციო საზოგადოებათა და კოოპერატიული კაპიტალის უპირატესი მონაწილეობით მომქმედ სააქციო საზოგადოებათა მოსამსახურეებისათვის პერსონალური ჯამაგირის განსაზღვრის წესის შესახებ“ სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. სექტემბრის 8-ს თარიღის დადგენილების გამოცემის გამო (სსრკ კან. კრ. 1928 წ. 59 №-რი, მუხ. 531) ა/კსფსრ სახალხო კომისართა საჭო ადგენს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. აპრილის 7-ს თარიღისა და 26 №-ის დადგენილება“ სამუშაო ხელფასის განსაკუთრებული ფონდების გამოყენების წესისა და სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა და სახელმწიფო კაპიტალის უპირატესი მონაწილეობით მომქმედ შერეულ სააქციო საზოგადოებათა მომუშავეთათვის პერსონალური ჯამაგირის დანიშვნისა და სპეციალური დავალების შესრულებისათვის განსაკუთრებული გასამრჯელოს მიცემის შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1928. მე-9 №-რი, მუხ. 96).

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მაგიერ **ნაზარეთიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. ბახტაძე.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს მე-11 №-ში 1929 წ. იანვრის 15-ს.

დადგენილება № 91 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

7. სსრკ-ის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან (ა/კსფსრ-ში) არსებული ცენტრალური რადიო-საბჭოს დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი დებულება სსრკ-ის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან (ა/კსფსრ-ში) არსებული ცენტრალური რადიო-საბჭოს შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მაგიერ **ნაზარეთიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. ბახტაძე.**

1928 წ. დეკემბრის 22 ტფილისი—სასახლე.

დებულება სსრკ-ის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან (ა/კსფსრ-ში) არსებული ცენტრ. რადიო-საბჭოს შესახებ.

1. რათა უზრუნველყოფილ იქნეს რადიომაუწყებლობისა და მისი ორგანიზაციის საკითხების გამო წარმოებული მუშაობის სრული და შეთანხმებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმართვა, სსრკ-ის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან (ა/კსფსრ-ში) არსდება ცენტრალური რადიო-საბჭო.

2. ცენტრალური რადიო-საბჭოს შედგენილობაში შედიან:

ა) სსრკ-ის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (ა/კსფსრ-ში) რადიო-მაუწყებელის ხელმძღვანელი—თავმჯდომარედ;

ბ) წევრები,—რომელთა რიცხვობრივ და პერსონალურ შედგენილობას დაამტკიცებს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო, სსრკ-ის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (ა/კსფსრ-ში) წარდგენით.

3. ცენტრალური რადიო-საბჭოს მიზანს შეადგენს, სადირექტივო ორგანოების გეგმებისა და დავალებების საფუძველზე, წარმართოს საერთოდ ა/კსფსრ ტერიტორიაზე რადიომაუწყებლობის სფეროში პოლიტიკური და კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა.

ამასთან შეთანხმებით ცენტრალური რადიო-საბჭოს გამგებლობის ფარგალში შედის:

ა) შეიმუშაოს ღონისძიებანი რადიოთი გაზეთებისა და ჟურნალებისა და მუსიკალურ და სალიტერატურო-მხატვრულ ნაწარმოებთა გასავრცელებლად და რადიოთივე გამოხატულებათა გადასაცემად;

ბ) განიხილოს და დაამტკიცოს რადიომაუწყებლობის გეგმები, რადიომაუწყებლის კვანძების პროგრამები, რადიომაუყებლობის საგამომცემლო გეგმები და დაუკავშიროს ეს გეგმები და პროგრამები საერთო საკავშირო რადიომაუწყებლობის გეგმას;

გ) განიხილოს წინასწარ გეგმა რადიომაუწყებლების ქსელისა და ახალი რადიომაუწყებლობის სადგურების მოწყობისა ა/კსფსრ ტერიტორიაზე; განსაზღვროს თვითეული რადიომაუწყებლობის სადგურის მიერ მომსახურეობა-გასაწევი რაიონი და პროგრამების ხასიათი და ყოველივე ეს შემდგომ წარუდგინოს დასამტკიცებლად სსრკ-ის ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატთან არსებულ საკავშირო რადიო-საბჭოს;

დ) განიხილოს წინასწარ გეგმა იმ თანხების განაწილებისა, რაც გადადებულ იქნება ა/კსფსრ-თვის სსრკ-ის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის რადიომაუწყებლობის ფონდიდან, და აგრეთვე ა/კსფსრ რადიოფიკაციის საფინანსო გეგმა;

ე) განიხილოს წინასწარ, საკანონმდებლო ორგანოების წინადადებით, ის კანონპროექტები, რაც რადიომაუწებლობისა და მისი მოწყობის საკითხებს ეხება;

ვ) შეამოწმოს ამიერკავკასიის რადიომაუწყებლობის გეგმის შესრულება და რადიომაუწყებლობის საქმის დაყენება, აგრეთვე განიხილოს ადგილებიდან მიღებული ანგარიშები რადიომაუწყებლობის შესახებ.

4. ცენტრალური რადიო-საბჭოს დადგენილებებს დაამტკიცებს სსრ-კის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის რწმუნებული (ა/კსფსრ-ში) ან მისი მოადგილე, მე-3 მუხ. „გ“ „დ“ და „ე“ პუნქტებში აღნიშნულ დადგენილებათა გარდა, რაც, ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის მიერ დადასტურების შემდეგ, წარედგინება დასამტკიცებლად სსრკ-ის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატთან არსებულ ცენტრალურ რადიო-საბჭოს.

ცენტრალური რადიო-საბჭოს მიერ დამტკიცებული დადგენილება შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს დაინტერესებული უწყების მიერ ორი კვირის ვადაზე ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაჩივრება ვერ შეაჩერებს ცენტრალური რადიო-საბჭოს დადგენილების მოქმედებას, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეჩერება მოხდება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს განკარგულებით.

5. ცენტრალური რადიო-საბჭო წლიურ ანგარიშს წარუდგენს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

6. ცენტრალურ რადიო-საბჭოს სპეციალური ტეხნიკური აპარატი არა ჰყავს და იგი გამოიყენებს სსრკ-ის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (ა/კსფსრ-ში) სათანადო აპარატს.

7. სსრკ-ის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს (ა/კსფსრ-ში) უფლება აქვს:

ა) მოაწყოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში რადიომაუწყებლების კვანძებთან რადიო-საბჭოები;

ბ) დაამტკიცოს ხოლმე, სსრკ-ის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის ცენტრალური რადიო-საბჭოს დებულებისა და სსრკ-ის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (ა/კსფსრ-ში) დებულების საფუძველზე, რადიომაუწყებლების კვანძებთან არსებული რესპუბლიკანური რადიო-საბჭოების დებულებანი;

გ) განსაზღვროს, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობებთან შეთანხმებით, რადიო-საბჭოების რიცხვობრივი და პერსონალური შედგენილობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 92 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

სსრკ-ის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან (ა/კსფსრ-ში) არსებული ცენტრალური რადიო-საბჭოს შედგენილობის დამტკიცების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს სსრკ-ის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან (ა/კსფსრ-ში) არსებული ცენტრალური რადიო-საბჭოს შემდეგი შედგენილობა:

ცენტრალური რადიო-საბჭოს თავმჯდომარე **ა. ე. სტურუა.**

ცენტრალური რადიო-საბჭოს წევრნი: **1. ვ. კ. მნაცაკანიანი, 2. ნ. მ. ტესტელეცი, 3. დ. მ. ციხელიშვილი, 4. ნ. ი. ფროლოვი, 5. პ. ა. ხობუა, 6. გ. ნ. ფლეიშერი, 7. ა. კ. ოსიპოვი, 8. ე. ქ. ხოჯამირიანი, 9. ვ. ი. სნეგირევი, 10. ვერლე.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მაგიერ **ნაზარეთიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. ბახტაძე.**

1928 წ. დეკემბრის 22. ტფილისი-სასახლე.

საქართველოს სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა
მთავლიტი № 443. დაიბეჭდა 1.000.